თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ახდევინებს თუ არა „სოკარ ჯორჯია გაზი“ ქუთაისის მოქალაქეებს გაზრდილ ტარიფს?

ფაქტ-მეტრმა პოლიტიკოსის განცადება გადაამოწმა

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

„ზოგჯერ შეიძლება დამარცხდე, მაგრამ ეს დამარცხება გამარჯვებასთან გაახლოებს“

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

№10 (749) 8 - 14 აგვისტო , 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

დანიშნავს თუ არა პრეზიდენტი ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმს?

„თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის“— ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა შესაძლოა საქართველოს მოსახლეობას მოუწიოს, თუ რეფერენდუმი დაინიშნება...

ეს კი შესაძლოა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად მოხდეს, 8 ოქტომბერს. თანაც ისეთ საკითხზე, რომელიც უკვე დიდი ხანია მოწესრიგებულია კანონით. საქმე ეხება ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა რეფერენდუმის ჩატარებაზე, საკუთარ დასკვნასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტს უკვე გადაუგზავნა. ამრიგად, გადამწყვეტი სიტყვა უკვე პრეზიდენტ მარგველაშვილს ეკუთვნის - დანიშნავს თუ არა რეფერენდუმს.

საუბარია ალექსანდრე ბრეგაძის, სოსო მანჯავიძისა და ზვიად ტომარაძის შემადგენლობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც რეფერენდუმი შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ჩატარდეს: "თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“.

ამრიგად, ბურთი პრეზიდენტის მოედანზეა, პრეზიდენტი კი დუმს. რეფერენდუმის ინიციატორები ამას თავისებურად ხსნიან. „ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი რეფერენდუმის დანიშვნის საკითხზე საოცარი ზეწოლის ქვეშ არის“ - განაცხადეს სანდრო ბრეგაძემ და საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ერთ-ერთ ბრიფინგზე. მათივე განმარტებით, ზეწოლა ხორციელდება უფლებების დამცველი ორგანიზაციებისგან, გარკვეული უცხოური ორგანიზაციებისგან და საქართველოში აკრედიტირებული ზოგიერთი დიპლომატიური უწყებისგან.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

Sylk TV

კომპიუტერში, სმარტფონში და ტაბლეტზე

რეგიონის ჟურნალისტები „ნათელი მომავლის“ პრიზებით დაჯილდოვდნენ

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

დანიშნავს თუ არა პრეზიდენტი ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმს?

პირველი გვერდიდან

„ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჩვენ შევიტანეთ 224 000 ხელმოწერა იმისათვის, რომ შემოდგომაზე ჩატარდეს რეფერუნდუმი... ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, განიხილა ჩვენი ხელმოწერები, დაადასტურა მათი ავთენტურობა, ანუ შესრულდა ყველა ის აუცილებელი პროცედურა, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ რეფერენდუმი დანიშნულიყო. რეფერუნდუმის თარიღის დასანიშნად დოკუმენტაცია გადაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც ხელი უნდა მოაწეროს რეფერუნდუმის დანიშვნის თარიღს. ეს გახლავთ უპრეცედენტო მოვლენა საქართველოს უახლოეს ისტორიაში, რადგანაც მოსახლეობის ნების გამოხატულებით ჯერ საქართველოს ისტორიაში არ ჩატარებულა არც ერთი რეფერენდუმი" - განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

მოქალაქეთა მეორე ნაწილი კი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მიმართავს, ქორწინების საკითხზე რეფერენდუმი არ დანიშნოს. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ რეფერენდუმი ეროვნულ ინტერესებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს და გააძლიერებს რუსულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას.

"ჩვენ, პეტიციის ხელმომწერები, მოვითხოვთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ დანიშნოს რეფერენდუმი ადამიანის უფლებების შესაზღუდად... მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნა წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან და გრძელვადიანი შედეგების მქონე დარტყმას მიაყენებს ეროვნულ ინტერესებს, გააძლიერებს რუსულ, ანტიდასავლურ პროპაგანდას, პრორუსულ ძალებს და დაამძიმებს ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას" - ნათქვამია მოქალაქეთა პეტიციაში.

ასევე, პეტიციაზე ხელმომწერი პირები მიიჩნევენ, რომ ქორწინების საკითხის განსაზღვრა ახლა - უამრავი მწვავე და აქტუალური საკითხის ფონზე - ხელოვნური და სახიფათოა. ეს საკითხი უკვე გაწერილია კანონმდებლობაში და არ საჭიროებს შემდგომ რეგულაციას. ამ თემაზე რეფერენდუმის დანიშვნა კი საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ძალადობის და პოლიტიკური გარემოს უფრო მეტი პოლარიზაციის სერიოზულ რისკებს აჩენს, რადგან ხელისუფლება რეფერენდუმის დანიშვნას კონსერვატიული და პრორუსული ამომრჩევლის მოსაზიდად იყენებს, რასაც სერიოზული გავლენა ექნება არჩევნების შედეგებზე და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივაზე.

„რეფერენდუმის გამოცხადება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა არც ერთი ლგბტ ორგანიზაცია დღის წესრიგში არ აყენებს ქორწინების თანასწორობის საკითხს, ყველა იმ ლეგენდისა და მითის ლეგიტიმაციაა, რომელიც ქართული საზოგადოების დასაშინებლად რუსული პროპაგანდის მანქანამ შეთხზა. მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს ხელი შეუშალოს ოკუპანტის პროპაგანდას და არ გადადგას დამღუპველი ნაბიჯი, რომელიც მძიმე დარტყმას მიაყენებს როგორც კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს, ისე ქართველი ხალხის ნებას, შეუფერხებლად გაგრძელდეს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი" - ნათქვამია პეტიციაში.

წინასაარჩევნოდ რეფერენდუმის ასეთ სენსიტიიურ საკითხზე დანიშვნას პოლიტიკური ქულების დაწერის მცდელობად აფასებს „საქართველო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი. მისი თქმით, ძალიან სამწუხაროა, როდესაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემებით წინასაარჩევნოდ მანიპულირება ხდება.

"ეს არ არის პირველი შემთხვევა. ტრადიციულად, განსაკუთრებით, სექსუალური უმცირესობების თემებით ცდილობენ წინასაარჩევნოდ ქულები დაიწერონ, ამომრჩევლისთვის სხვა არაფერი აქვთ შესათავაზებელი" - აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ამრიგად, ასეა თუ ისე, 2 აგვისტოს ცესკო-მ ქორწინების განსაზღვრასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე პრეზიდენტს უკვე მიმართა. კანონმდელობის მიხედვით, პრეზიდენტს 30-დღიანი ვადა აქვს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტისთვის. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მის ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრის თანხმობა სჭირდება.

დანიშნავს-არ დანიშნავს...

„რესპუბლიკური პარტიის" წევრი, პარლამენტარი თამარ კორძაია დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმს არ დანიშნავს და ქართულ პოლიტიკაში "რუსულ ნარატივს" არ შემოიტანს.

"როდესაც პარლამენტში შემოვიდა ეს საკითხი, მაშინაც ვთქვით, რომ აღნიშნული თემა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი და ღირებულებითი ბრძოლაა ევროპასა და რუსეთს შორის. პროცესმა დაადასტურა, რომ "რესპუბლიკელების" პოზიცია იყო სწორი. დღევანდელი ვითარებაც ადასატურებს ამას და ვართ ისევ იმ პოზიციაში, რომ ქორწინების საკითხი ვიღაცისთვის წინასაარჩევნო პოლიტიკური დებატების ნაწილია, თორემ ამაზე საუბარი მოქალაქეებს არ აინტერესებთ. მათი ინტერესი არის სხვა დაპირებები, როგორ იცხოვრებენ ისინი ქვეყანაში და როგორ აისახება ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ევროპული ღირებულებებით ხელმძღვანელობს და რუსულ "ნარატივს" არ შემოიტანს ქართულ პოლიტიკაში" – განაცხადა თამარ კორძაიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, არ შეიძლება რეფერენდუმის დანიშვნა იმ საკითხებზე, რამაც შეიძლება ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები შეზღუდოს. რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად ქორწინება უკვე განისაზღვრება, როგორც "ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ."

გამოდის, რომ სარეფერენდუმო კითხვაზე პასუხი - "თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?" - საქართველოს კანონმდებლობას უკვე გაცემული აქვს და რეფერენდუმის ჩატარება ამ კითხვაზე ან ღია კარის მტვრევაა ან მავანისათვის პოლიტიკური ქულების ჩაწერა საზოგადოებისათვის მგრძნობიარე თემის კიდევ ერთხელ გააქტიურების ხარჯზე. მაგალითად, როგორც ეს მოხდა 2012 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მოამზადა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის ცვლილების შესახებ შემდეგი რედაქციით:

"სახელმწიფო აღიარებს მამაკაცისა და ქალის ქორწინებას, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას." ქდმ-მ ამ ინიციატივის მხარდასაჭერად მაშინ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ეს ინიციატივა ასევე გახდა ჰომოფობიაზე დისკუსიის საფუძველი.

მოგვიანებით, 2014 წელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოვიდა ინიციატივით, კონსტიტუციაში შეეტანათ ჩანაწერი, რომ "ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა". მაშინ ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ოჯახის დეფინიციის კონსტიტუციით გამყარების ინიციატივა განხილული და მოწონებულია კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს მიერ.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციას,

აქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ "ქართული ოცნება" ქორწინებასთან დაკავშირებით დაწყებულ საკონსტიტუციო ცვლილებას ბოლომდე მიიყვანს. კითხვაზე, რას აპირებს ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმის ჩატარებას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მხარს არ დაუჭერს, კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ "ქართული ოცნება" პარლამენტში არჩევნების შემდეგ იმხელა უმრავლესობით მოვა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებას მაინც განახორციელებს.

ციტნე პაატაშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

Ω — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ახდევინებს თუ არა „სოკარ ჯორჯია გაზი" ქუთაისის მოქალაქეებს გაზრდილ ტარიფს?

პარტია "თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზს" დაუპირისპირდა და მედიასთან საუბარში შემდეგი განცხადება გააკეთა: "გაზის გადასახადი ზამთარში უფრო ძვირია, ვიდრე ზაფხულში. ზამთარში 0.46 თეთრს ვიხდით, ზაფხულში 0.45 თეთრს. თუმცა, უკვე მესამე თვეა, "სოკარი ჯორჯია გაზი" ზამთრის ტარიფით გვახდევინებს გაზის გადასახადს. მსგავსი შემთხვევა 2013 წელსაც დაფიქსირდა. როდესაც მივმართე კომპანიას, მითხრეს, რომ ეს იყო კომპიუტერული ხარვეზი. ახლა კი, ისევ მეორდება ეს მარაზმი. მივმართავ კახა კალაძეს, კეთილი ინებოს და დაიცვას მოქალაქეების უფლებები, ასევე მივმართავ ქალაქის მერს, შოთა მურღულიას, დაიცვას თანაქალაქელები ძარცვისგან. შესაძლოა, ეს თანხა ვინმესთვის ცოტა იყოს, მაგრამ იურიდიული პირებისთვის სერიოზული თანხაა".

ფაქტ-მეტრი ამ განცხადების სიზუსტით დაინტერესდა.

გოგი წულაიას მიერ მოყვანილი მონაცემების გადასამოწმებლად ჩვენ "სოკარ ჯორჯია გაზის" სათაო ოფისს დავუკავშირდით და ტარიფებთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია გამოვითხოვეთ. მოპოვებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ გაზის გადასახადის მაჩვნებელი მთელი წლის განმავლობაში ერთია და შესაბამისად ე.წ. "ზამთრის და ზაფხულის" განსხვავებული გადასახადი არ არსებობს. ამ საკითხის შესახებ ჩვენ კომპანიის პრესსამსახურის წარმომადგნელებსაც ვესაუბრეთ. მათი განცხადებით, გაზის ტარიფი ერთნაირია როგორც მთელი წლის მანძილზე, ასევე ნებისმიერი ქალაქისთვის და სოფლისთვის. შესაბამისად, აბონენტებისთვის რაიმე ტიპის განსხვავებული რეჟიმი არ არსებობს.

ე.წ. "ზამთრისა და ზაფხულის" განსხვავებული ტარიფის არარსებობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისის (სემეკი) 2005 წლის 30 დეკემბრის დადგენილებიდანაც ირკვევა. გაზის მიმწოდებელი კომპანიების მიერ დაწესებული ტარიფები სწორედ ამ დოკუმენტის მიხედვით არის განსაზღვრული. შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის გადასახადის არსებობა კვლავ არ დასტურდება. დღეისთვის, ქართულ ბაზარზე სულ სამი კომპანია ("სოკარ ჯორჯია გაზი", "საქორგაზი", "ყაზტრანსგაზ თბილისი") ოპერირებს და მათ ტარიფის საკუთარი სურვილის მიხედვით დადგენის შესაძებლობა არ აქვთ. კანონმდებლობის მიხედვით, ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების და მოხმარების ტარიფის განსაზღვრა სემეკის კომპეტენციას ეკუთვნის და მიმწოდებელ კომპანიას მისი შეცვლა მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია.

განცხადების დაზუსტების მიზნით, ფაქტ-მეტრი პირადად ესაუბრა პარტია "თავისუფალი საქართველოს" ადგილობრივ ლიდერ გოგი წულაიას. მან ჩვენთან საუბარში კვლავ აღნიშნა, რომ ქუთაისის მოსახლეობა გამოყენებული გაზის სანაცვლოდ უკვე მესამე თვეა ე.წ. "ზამთრის ტარიფს" იხდის, თუმცა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. წარსულში, იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეულ მოქალაქეებს კომპიუტერული ხარვეზების გამო გაზრდილი გადასახადი დაერიცხათ, თუმცა სემეკისა და ენერგო ომბუდსმენის ჩარევით, აღნიშნული პრობლემები მალევე გადაიჭრა და სისტემური ხასიათი არ მიუღია.

დასკვნა

ე.წ. "ზამთრის ტარიფის" არსებობა არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ ფიქსირდება. "სოკარ ჯორჯია გაზიდან" და "სემეკიდან" გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ბუნებრივი აირის გადასახადი მთელი წლის განმავლობაში ერთია. ბაზარზე არსებული მიმწოდებელი კომპანიები ტარიფს სემეკის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით განსაზღვრავენ, შესაბამისად, რაიმე ტიპის ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება და განსხვავებული გადასახადის დაწესება შეუძლებელია. ამასთან, წულაიას არ დაუსახელებია არცერთი კონკრეტული ფაქტი, რომელიც საწინააღმდეგო პოზიციას ამტკიცებს.

შესაბამისად, ფაქტ-მეტრი ასკვნის, რომ გოგი წულაიას განცხადება არის **ტყუილი.**

დათო ლიკლიკაძე
factcheck.ge

თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა!

„ქართული ოცნების" ძირითადი მიღწევები

დემოკრატიული განვითარება

1. 2012 წლიდან საქართველოში დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა თვისებრივად გაუმჯობესდა: 2012 წელს საქართველო 24 000 პატიმრით ევროპაში პირველ ადგილზე იყო. დღეისათვის ეს მაჩვენებელი ორნახევარჯერ, ანუ 9 700 პატიმრამდე შემცირდა. 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობა და წელიწადში 140- ის ნაცვლად 12-ი შეადგინა. აღიკვეთა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა: 2012 წლიდან დღემდე ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრის წამების ან არაადამიანური მოპყრობის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა;
2. ციხეების გადავსების, „ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკის, ქუჩაში ადამიანების დახვრეტისა და ხელისუფლების ტოტალური თვითნებობის პრაქტიკის აღკვეთის ფონზე, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სტაბილურია. ამის დასტურია ის, რომ 2012 წლიდან დღემდე მკვლელობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულთა სტატისტიკა არ გაზრდილა;
3. 2012 წელს აღიკვეთა ბიზნესის მასობრივი რეკეტის პრაქტიკა. დღეს ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან სრულიად თავისუფალია. 4 წლის განმავლობაში ბიზნესმენზე ზეწოლის პრეცედენტი არ ყოფილა;
4. ქვეყანაში უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება. თუ 2012 წლამდე სამივე ნაციონალური ტელეარხი ხელისუფლების სრული გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა, დღეს მედიასივრცე ხელისუფლების კონტროლისგან სრულიად თავისუფალია;
5. სასამართლოების პერსონალური შემადგენლობის არსებითად შენარჩუნების მიუხედავად, სასამართლო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან;
6. აღიკვეთა ტოტალური თვალთვალის, მოსმენისა და შანტაჟის მახინჯი პრაქტიკა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის მთავარ იარაღად იყო ქცეული. დღეს ადამიანებს ხელისუფლებისგან უსამართლო მოპყრობის შიში აღარ აქვთ - სახელმწიფო სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას არალეგიტიმურ ძალადობასა და სისასტიკეს აღარ უპირისპირებს;
7. აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა. საყოველთაო აღიარებით, 2013 და 2014 წლების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საარჩევნო ადმინისტრაციას ენდობა.

სოციალური განვითარება

2013-2016 წლებში ხელისუფლება ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და კულტურის სფეროებში ქმედით პოლიტიკას ახორციელებდა:

1. ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2 200 000-ზე მეტი შემთხვევა დაფინანსდა. გადარჩა ათი ათასობით ადამიანის სოცოცხლე, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა;
2. 2016 წლიდან ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ძუძუს ადრეული კიბოს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების ძვირადღირებული მედიკამენტით უზრუნველყოფა. ძუძუს კიბოს მქონე საქართველოს მოქალაქე ქალბატონებისთვის (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობისა), ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტის ღირებულების 80 %-ს აფინანსებს.
3. ამოქმედდა C-ჰეპატიტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც პაციენტები მკურნალობის ძვირადღირებულ კურსს სრულიად უფასოდ გადიან. პროგრამით უკვე 8 000-მა პაციენტმა ისარგებლა. აქედან, 90%-მა ვირუსი დაამარცხა;
4. შეიქმნა „სოლიდარობის ფონდი", რომელმაც სიმსივნით დაავადებული 275 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა. ფონდის ამოქმედების შემდეგ, უსახსრობის გამო საქართველოში სიმსივნით არცერთი ბავშვი არ გარდაცვლილა. ასეთი პროექტი მანამდე ჩვენ ქვეყანაში არ განხორციელებულა.
5. ხელისუფლების ქმედითი ნარკოპოლიტიკის შედეგად, 99%-ით შემცირდა ე.წ. „კრაკადილის", „ვინტისა" და „ჯეფის", ხოლო 90%-ით - ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება;
6. 2013 წლიდან სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 62%-ით გაიზარდა;
7. 2012 წელთან შედარებით 65%-ით გაიზარდა ასაკობრივი პენსია, 80% -ით კი - მკვეთრად გამოხატული შშმ პირების პენსია. მთაში პენსია გაიზარდა დამატებით 20%-ით;
8. მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაორმაგდა უმწეოთა დახმარება;
9. დევნილების პრობლემების მოგვარებისთვის განკუთვნილი დაფინანსება გასამმაგდა. 2013-2016 წლებში საცხოვრებელი ბინა 6 000-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა მიიღო. უკვე დაწყებულია პროექტები, რომლებიც ახალი საცხოვრებლით დამატებით 5 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს უზრუნველყოფს;
10. 2012 წელთან შედარებით, განათლების სფეროს ბიუჯეტი 56%-ით გაიზარდა;
11. მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 65%-ით, საშუალო ხელფასი კი 70%-ით გაიზარდა;
12. ამოქმედდა „უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა", რომლითაც 500 ათასი მოსწავლე სარგებლობს;
13. ახალი პროგრამის ფარგლებში, 1 200-მდე სკოლას უფასო ტრანსპორტი ემსახურება;
14. 2013-2016 წლებში 1 500-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა, 1 700-მდე სკოლაში კი ინვენტარი განახლდა; დასრულდა 10, მიმდინარეობს 10 და იწყება 7 ახალი სკოლის მშენებლობა;
15. 41%-ით გაიზარდა უმაღლესი განათლების, ხოლო 83%-ით - პროფესიული განათლების დაფინანსება;
16. უნივერსიტეტებში დაიწყო პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება. მთელი რიგი ფაკულტეტებისა სრულიად უფასო გახდა, რითაც უკვე ისარგებლა 10 000-მდე სტუდენტმა. საერთო ჯამში, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სტუდენტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი;
17. 2012 წლის შემდეგ მეცნიერების დაფინანსება 82%-ით გაიზარდა;
18. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველი მოქალაქეებისთვის 270- მდე სახელმწიფო სტიპენდია გაიცა;
19. საბავშვო ბაღები სრულიად უფასო გახდა. შედეგად, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა.

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება

„ქართული ოცნების" წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის ტემპები და მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური რისკები:

1. წარმატებით დასრულდა ევროკავშირთან მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას;
2. ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;
3. წელს ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რითაც საქართველოს ყველა მოქალაქე ისარგებლებს;
4. ხელი მოეწერა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რითაც საქართველოსთვის ახალი ბაზარი გაიხსნა - 28 ქვეყნითა და 500 მილიონი მომხმარებლით;
5. ღრმავდება თანამშრომლობა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან;
6. საქართველო განაგრძობს თანმიმდევრულ სვლას ნატო-ს წევრობისკენ;
7. წინა ხელისუფლების ავანტიურისტული პოლიტიკისგან განსხვავებით, რამაც ქვეყანას უმძიმესი შედეგები მოუტანა, ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ამასთან, საქართველო წარმატებით უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გატარებას;
8. ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რეგიონის ყველა ქვეყანასთან;
9. ღრმავდება ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან. გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები „აბრეშუმის გზის" პროექტის განხორციელების მიმართულებით, რაც საქართველოს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას შესძენს.

ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარების თავალსაზრისით „ქართულ ოცნებას" ძალზე მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. თუმცა, ამ გარემოებისა და რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყო. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, საქართველო, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 2014 წელს საქართველოში, ევროპის მასშტაბით, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ხელისუფლების ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, „მსოფლიო ბანკის" პროგნოზის შესაბამისად, 2017-2018 წლებში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება (უზბეკეთის, თურქმენეთის და ტაჯიკეთის გარდა). ქვეყანამ წინსვლა განიცადა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მიმართულებით:

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში, საქართველო „საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების" რიგს შეუერთდა;

1. 2013-2015 წლებში, 2008-2012 წლებთან შედარებით, საქართველოში წელიწადში საშუალოდ 33%-ით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა;
2. 2004 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 4,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2015 წლის მდგომარეობით, მთლიანი საგარეო ვალი 200 მილიონი დოლარით არის შემცირებული;
3. საშემოსავლო გადასახადის გადახდის მაჩვენებლების მიხედვით, 2012-2016 წლებში, ადამიანების შემოსავლები 29%-ით გაიზარდა და ეს იმ პირობებში, როდესაც ინფლაცია 10%-ს არ აღემატებოდა;
4. „ქართული ოცნება" მოსახლეობის დასაქმებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდა. შედეგად, 2013 წლიდან, დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 56 ათასით გაიზარდა. 2012 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე 12%-მდე შემცირდა, მაშინ როცა, წინა ხელისუფლების პირობებში, უმუშევრობა გაიზარდა;
5. „ქართულმა ოცნებამ" აქცენტი წარმოების განვითარებაზე გააკეთა. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა. პროგრამის - „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში 400 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია გაიცა და მხარი დაეჭირა 187 საწარმოს;
6. 2013-2015 წლებში ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 16,8 მილიონი შეადგინა, რაც 2005-2012 წლების რვაწლიან მაჩვენებელს (14,4 მილიონი) აღემატება;
7. 2013-2016 წლებში ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას ჯამში დაემატა 415 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები, მაშინ როცა, 2007-2012 წლებში, განხორციელებული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე მხოლოდ 8 მეგავატი იყო. 2016 წლის ბოლომდე დამატებით 423 მეგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა დასრულდება.

პრიორიტეტად იქცა სოფლის მეურნეობის განვითარება:

1. სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა;
2. შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 26 474-მა ბენეფიციარმა, გაიცა 700 მილიონი ლარის და 208 მილიონი დოლარის სესხები;
3. ამოქმედდა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 700 ათასზე მეტმა მცირემიწიანმა ფრმერმა 351 მილიონი ლარის დახმარება მიიღო. შედეგად, ყოველწლიურად 200 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება;
4. ფერმერებს 280 მილიონ ლარამდე ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცენარეთა მოვლის საშუალებები უსასყიდლოდ გადაეცათ;
5. 2013-2016 წლებში 150 ახალი აგრარული საწარმოს შექმნა 115 მილიონი დოლარით დაფინანსდა, 700 საწარმო კი გაფართოვდა და გადაიარაღდა;
6. ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა: 2016 წლის მაისის მდგომარეობით, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, გაცემულია 11 986 პოლისი, დაიზღვა 77 მილიონი ლარის ღირებულების მოსავალი და 13 181 ჰა მიწის ფართობი. დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები, რის შედეგადაც კახეთში მოსავალი 30%-ით გაიზარდა;
7. წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 45 000 ჰექტრიდან 106 000 ჰექტრამდე, ხოლო დაშრობილისა - 14 000 ჰექტრიდან 31 575 ჰექტრამდე გაიზარდა;
8. პროგრამის - „დანერგე მომავალი" ფარგლებში 1 400 ჰექტარი ინტენსიური ტიპის მრავალწლიანი ხეხილის ბაღები გაშენდა; სახელმწიფოს დახმარებითა და შეღავათების დაწესებით 1 500-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა;
9. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები

1. 2013-2016 წლებში, 2007-2012 წლებთან შედარებით, წელიწადში საშუალოდ ორჯერ მეტი გზა იგებოდა; 2006-2012 წლებში ავტობანზე წელიწადში საშუალოდ 10,1 კმ, 2013-2015 წლებში კი - 28,4 კმ გზა დაიგო;
2. 2013 წლიდან მოსახლეობისთვის წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯა. უკვე დაწყებულია დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტები, რომელთა დასრულების შემდეგაც, 2020 წლისთვის, 24-საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგებით დამატებით 500 ათასამდე ადამიანი იქნება უზრუნველყოფილი;
3. საგრძნობად გაიზარდა გაზიფიცირების სამუშაოების მოცულობა: 2013-2016 წლებში, საქართველოს მაშტაბით, გაზმომარაგების ქსელში დამატებით 138 ათასამდე პოტენციური აბონენტი ჩაერთო;
4. 2012-2015 წლებში ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში 29 სოფელი ჩაერთო, რომელთაც ელექტროენერგია მანამდე არასოდეს მიეწოდებოდათ. უშუქო სოფლების ქსელში ჩართვის პროცესი გრძელდება;
5. დაიწყო ქვეყნის ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც რეგიონებში მაღალსიჩქარიან ინტერნეტკავშირს უზრუნველყოფს.

გიორგი მარგველაშვილი: გვქონდა საშუალება, მონაწილეობა მიგვეღო იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში, სადაც ყველა ერი თავის რჩეულ წარმომადგენელს აგზავნის

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე უგულშემატკივრეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ ბრაზილიაში ვიზიტი უკვე დაასრულეს. გიორგი მარგველაშვილი და მაკა ჩიჩუა ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან ერთად დაესწრნენ. ვიზიტის ფარგლებში ქვეყნის პირველმა პირმა ბრაზილიაში ორმხრივი შეხვედრებიც გამართა. შეხვედრების მთავარი თემა არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის მოპოვება იყო.

გიორგი მარგველაშვილი ქართულ დელეგაციასთან ერთად ოლიმპიურ სოფელსაც ესტუმრა და ქართველ სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე წარმატება უსურვა. საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიური თამაშების პირველ დღეს სხვადასხვა სპორტის სახეობაში მოასპარეზე ქართველ სპორტსმენებს უგულშემატკივრა.

„ბრაზილიაში, რიოში ჩვენ გვქონდა ბედნიერება ვმდგარიყავით ჩვენს რჩეულ ათლეტებთან ერთად, მონაწილეობა მიგვეღო ოლიმპიური თამაშების დასაწყისში. იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში, სადაც ყველა ერი თავის რჩეულ წარმომადგენელს აგზავნის. ჩვენ ასევე მოგვეცა შესაძლებლობა გვემუშავა სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციასთან, ჩვენი მუშაობის ძირითადი აქცენი იყო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი არაღიარების პოლიტიკისა და დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნების რეზოლუციის მხარდამჭერი შეხვედრების გამართვა", - განაცხადა ვიზიტის დასასრულს საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილი ქართულ დელეგაციასთან ერთად საქართველოში დღეს დაბრუნდება.

www.interpressnews.ge

რეგიონის ჟურნალისტები „ნათელი მომავლის" პრიზებით დაჯილდოვდნენ

„ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში" - ამ პროექტის ფარგლებში, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი", ქალთა ფონდი საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს, უკვე რამდენიმე თვეა არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის, 4 თვის წინ, ბაკურიანში, ტრენინგი დასავლეთ საქართველოს მასმედიის წარმომადგენელთათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ჟურნალისტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას და ქალთა საკითხებით დაინტერესებას .

ტრენინგის შემდეგ გამოცხადდა კონკურსი, რომელიც სამი თვის მანძილზე მიმდინარეობდა.

კონკურსის ფარგლებში 25 მედიაპროდუქტი მომზადდა, რომელიც სხვადასხვა თემატიკას მოიცავდა. მათ შორის, ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, ძალადობას, ქვოტირებას და ქალთა შრომით უფლებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კონკურსში 15 სხვადასხვა მედიაორგანიზაციების წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. იყო ტელე, რადიო, საგაზეთო და ონლაინ მედიანამუშევრები.

პროექტის ხელმძღვანელმა, მარიკა ვაჭარაძემ, კონკურსის მონაწილეებს და გამარჯვებულებს 31 ივლისს ორგანალური ფინალური შეხვედრა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი მოუწყო ეგზოტიკურ გარემოში — ხონში, კინჩხის წყალვარდნილზე.

პროექტის ფარგლებში სამი გამარჯვებული დასახელდა: თათა კაჭკაჭიშვილი - რადიო „თავისუფლება", საუკეთესო რადიოსიუჟეტი; გიორგი გირკელიძე — „გურიანიუსი", საუკეთესო ონლაინმასალა; ინგა გვასალია — „მთავარი თემა სამეგრელოში", საუკეთესო საგაზეთო სტატია; სამახსოვრო საჩუქრები და სერთიფიკატები ყველა იმ ჟურნალისტს გადაეცა, რომლებმაც კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის და პროექტის აქტიურად გაშუქებისთვის დაჯილდოვდა ჟურნალისტი სალომე ჩახუნაშვილი — რადიო „ძველი ქალაქი".

ქალთა საკითხების აქტიურად გაშუქებისთვის სამადლობელი წერილები დაეგზავნა ყველა იმ მედიაორგანიზაციას, ვინც პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მხარს უჭერდა მას.

მარიკა ვაჭარაძე, პროექტის ხელმძღვანელი:

—საქართველოში ქალთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ზუსტი სტატისტიკა ქალთა უფლებების დარღვევის შესახებ არ არსებობს. ამის ერთ-ერთი და მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ის არის, რომ ქალები პრობლემებზე ღიად არ საუბრობენ, მით უფრო, ძალადობის ფაქტებზე. მეტიც — ისინი ოჯახურ ძალადობას მალავენ. ხშირ შემთხვევაში ამ ძალადობრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების ნაწილი მაინც იგებს, თუმცა იმ მომენტიდან გამომდინარე „მათი ოჯახური პრობლემა ჩემი საქმე არ არის" საზოგადოება ამ ფაქტებს მალავს და კონფლიქტის გამოაშკარავებისგან თავს იკავებს. ამ ფაქტებს კი ხშირად სავალალო შედეგი მოაქვს.

ვფიქრობთ, ძალადობა, რა დოზით და რა სახითაც არ უნდა იყოს, გარკვეულწილად, კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაზე. საქართველოში სიტყვიერი შეურაცხყოფა ჯერ კიდევ არ აღიქმება ძალადობად. ამდენად, ამ საკითხებზე ქალები ნაკლებად ინფორმირებულები არიან, არ იციან თავიანთი უფლებები. პროექტის ერთი ნაწილი მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებს მოიცავდა, ხოლო მეორე ნაწილი ჟურნალისტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას და ქალთა საკითხებით დაინტერესებას ისახავდა მიზნად.

სასიხარულო და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ რეგიონული მედიის წარმომადგენლები ასე აქტიურად ჩაერთნენ ამ პროექტში და საინტერესო და აქტუალური ნამუშევრები წარმოადგინეს.

ირმა მარდალეიშვილი

ზოგჯერ შეიძლება დამარცხდე, მაგრამ ეს დამარცხება გამარჯვებასთან გაახლოებს

ლუკა ობოლაძემ ფარიკაობაში პროფესიონალური ვარჯიში 2010 წლიდან დაიწყო, მამას უნდოდა, მოკრივე ყოფილიყო. რამდენიმე თვე ვარჯიშობდა კიდეც ქუთაისის კრივის სკოლაში, თემურ ლორთქიფანიძესთან, მაგრამ ბებიასთან ხშირად სტუმრად მისულს, ბიძის, ცნობილი მოფარიკავის, მერაბ ბაზაძის ძველი ხმლები ფარიკაობისადმი უღვიძებდა ინტერესს.

მალე მერაბი მწრთვნელის სტატუსით დაუბრუნდა ქალაქს და ლუკა მისი პირველი მოსწავლე გახდა.

„დავიწყეთ ვარჯიში ყველანაირი პირობების გარეშე. რთული პერიოდი იყო. მახსოვს, ერთხელ თოვდა. მე და ბიძაჩემს გზის ფული არ გვქონდა და ფეხით ჩავედით სოფლიდან ქუთაისში, რომ გვევარჯიშა. მალევე შემოგვიერთდნენ ბიძაშვილები. შევიკრიბეთ ოთხი ძმა, სისხლი და ხორცი და ერთიანი ძალებით შევუდექით სპორტულ ცხოვრებას.

ეს სპორტი უკვე ჩვენს ოჯახში ტრადიციად დამკვიდრდა, ბიძაჩემმა დაიწყო, ჩვენ ვაგრძელებთ და ჩვენი შვილებიც გააგრძელებენ ალბათ.

ფარიკაობა ბევრ რამეს გასწავლის, უბრალოდ შენზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებ, თუ მარტო სპორტად აღიქვამ ფიზიკურად ჯანმრთელი იქნები, თუ ცხოვრების წესად გაიხდი და ცხოვრებასაც ფარიკაობას დაუწყებ, ზიგჯერ შეიძლება დამარცხდე, მაგრამ იგრძნობ, ყოველი მარცხი როგორ უფრო გაახლოვებს გამარჯვებასთან.

დღეს ქართული ფარიკაობა ბევრად განვითარებული და დახვეწილია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ბევრი მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვება მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ფინანსური ხხარდაჭერის და მწვრთნელების უმაღლესი კლასის წყალობითა და ვარჯიშით.

ჩემი მწვრთნელი მერაბ ბაზაძეა დედაჩემის ძმა, წარსულში დიდი და ტიტულოვანი სპორტსმენი, ამჯერად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თავის

ლუკა ობოლაძე

საქმის პროფესიონალი და უკონკურენტო ამ საქმეში. ამაზე მეტყველებს ის ღირსეული გამარჯვებები, რითაც დღეს ამაყობს ქართული ფარიკაობის გულშემატკივარი.

ჯამორჩეული ტურნირი იყო ყველა, სადაც მონაწილეობა მიმიღია, დაწყებული ქუთაისის ჩემპიონატით, დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატით. დიდი პატივია, როცა ქვეყნის სახელით იბრძვი და უფრო დიდი პასუხისმგებლობა და ბედნიერებაა, როცა შენს გვერდით შენი ძმები იბრძვიან.

გამორჩეული მოფარიკავე არ მყავს. მე მყავს ბიძაშვილი სანდრო ბაზაძე, რომელიც ახლა რიოს ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობს. მინდა, წარმატება ვუსურვო მას და ყველა სპორტსმენს. ეს კიდევ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული ფარიკაობის ისტორიაში.

ქართველი მოფარიკავეებით უნდა იამაყოს საქართველომ, მე მჯერა ეს ასე იქნება და ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩემი სპორტული მიზანი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაა. ჩემთვის პრიორიტეტული გუნდური ბრძოლა იყო და არის. მომავალ ოლიმპიადაზე ტოკიოში გუნდური ხმლით ფარიკაობა იქნება, ღვთის ნებით და წყალობით, ჩვენ გვინდა, რომ ტოკიოში ერთად შეკრებილმა ოთხმა ძმამ საქართველოს და ქართულ ფარიკაობას კიდევ ერთი ტრიუმფი მოვუტანოთ. მანამდე გრძელი გზაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. მე ერთი თვეა ამერიკაში ვცხოვრობ, ამ ეტაპზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებ რამდენიმე კლუბთან, ვნახოთ, რა მოხდება.

სამწვრთნელო კარიერას რაც შეეხება, არ მიფიქრია ამაზე. ჯერ მინდა, ბოლომდე დავიხარჯო როგორც სპორტსმენი.

მაგდა ჩინჯიშვილი